დანართი №1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის

დებულება

პრეამბულა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **დამხმარე სამეცნიერო ერთეულის** - ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი იქმნება სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“ ან „თსუ“) ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის **დამხმარე სამეცნიერო ერთეულს**.

2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. ცენტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ფუნქციები

1. ცენტრის მიზანია:

ა) ინოვაციური იდეების მუდმივი სტიმულირება მსოფლიოში აპრობირებული ისეთი აქტივობებით, როგორებიცაა კრეათონი, ჰაკათონი, მეიკათონი და ა.შ.;

ბ) მეცნიერების კომუნიკაცია სოციალური მედიის გამოყენებით, მედიაში ექსპერტული აზრის უნივერსიტეტთან ასოცირებისა და უნივერსიტეტში არსებული კვლევების არასამეცნიერო წრეებისთვის სხვადასხვა გზით გაცნობის საშუალებით;

გ) ინოვაციური და ტექნოლოგიური იდეების განხორციელების მხარდამჭერი მსოფლიოში აპრობირებული მექანიზმების განვითარება მაგ. პრე-აქსელერატორები, აქსელერატორები, ინკუბატორები და ა.შ.;

დ) საერთო სამუშაო სივრცის შექმნა უნივერსიტეტის ბაზაზე, ფაბ ლაბის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა, სერვისებისა და მომსახურების ხარისხის უწყვეტი განვითარება;

ე) უნივერსიტეტის სივრცეში ინოვაციური მეწარმეობის ეკოსისტემის შექმნა და განვითარება, მათ შორის, ინოვაციური მეწარმეობის სწავლების დანერგვის გზით.

2. ცენტრის ფუნქციებია:

ა) რეაქტიული მეთოდებით იდეების სტიმულირების მექანიზმების შემუშავება;

ბ) კერძო ინვესტორებთან ურთიერთობა და საჯარო-კერძო თანამშრომლობის ჩამოყალიბება;

გ) მეცნიერების კომუნიკაციის მექანიზმების შემუშავება;

დ) თსუ-ში არსებულ რესურსებზე (საერთო სამუშაო სივრცე, ფაბ ლაბი, პრე-აქსელერატორი, ერთჯერადი ღონისძიებები) წვდომის მექანიზმების განვითარება;

ე) ინოვაციური და ტექნოლოგიური იდეების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების გამოვლენა და სამუშაოების დაგეგმვა;

ვ) იდეების განხორციელებისთვის რესურსების მობილიზების უზრუნველყოფა;

ზ) არსებული სერვისებისა და მომსახურების ხარისხის დახვეწა და განვითარება ხარისხის მართვის მოდელის დანერგვის გზით (EFQM მართვის მოდელის დანერგვა);

თ) იდეის შეფასება, პოტენციალის გამოვლენა და შერჩევა ტექნოლოგიის კომერციალიზაციის მიზნით;

ი) უნივერსიტეტის მეცნიერთათვის ინტელექტუალური საკუთრების დაცვაში დახმარების გაწევა;

კ) კომერციალიზაციის პროცესის წარმართვაში მხარდაჭერა;

ლ) თსუ-ს ბაზაზე არსებული ფაბ ლაბის მართვა.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

2. ცენტრის სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით.

3. ცენტრის ხელმძღვანელის, დროებით არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას დროებით ასრულებს ცენტრის ერთ-ერთი თანამშრომელი ცენტრის ხელმძღვანელის დავალების საფუძველზე, რექტორის ბრძანებით.

4. ცენტრის ხელმძღვანელის ფუნქციებია:

ა) ცენტრის სტრატეგიისა და ხედვის მომზადების უზრუნველყოფა და საჭიროებისამებრ საკითხების შეთანხმებული კორექტირება, უნივერსიტეტის რექტორთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ძირითადი ხედვისა და მიზნების კოორდინირება;

ბ) ჩამოყალიბებული სტრატეგიის შესაბამისად სამოქმედო გეგმების ფორმირების უზრუნველყოფა;

გ) ცენტრის ბიუჯეტის დაგეგმვის უზრუნველყოფა, შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის სწორად განსაზღვრა;

დ) ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი;

ე) ცენტრის წინაშე არსებული რისკების გამოვლენა და დროული გადაჭრის უზრუნველყოფა;

ვ) ცენტრის წინაშე წამოჭრილი პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის უზრუნველყოფა და აღმოფხვრა;

ზ) პარტნიორების ქსელის გაფართოება და მათთან ეფექტური ურთიერთობების წარმოება;

თ) პარტნიორების ქსელის გაფართოების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;

ი) პარტნიორებთან არაფორმალური ურთიერთობების განვითარება;

კ) ცენტრისთვის საინტერესო დაფინანსების წყაროების გამოვლენა და მუდმივად თვალყურის დევნება;

ლ) გამოვლენილ დაფინანსების წყაროებზე პროექტების მაღალი ხარისხით შემუშავება და გაგზავნა;

მ) მოძიებული ფინანსური რესურსების მიზნობრივად გახარჯვის უზრუნველყოფა;

ნ) დაფინანსებასთან დაკავშირებით უარის მიღების შემთხვევაში არსებული სიტუაციის ანალიზი და გამომწვევი მიზეზების დადგენა;

ო) ცენტრის საჭიროებიდან გამომდინარე არსებული პარტნიორებისგან ფულადი რესურსების მოძიება;

პ) ანგარიშის წარდგენა ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

ჟ) უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციებისა და მოვალეობების განხორციელება.

მუხლი 4. ცენტრის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის ქონებით.

მუხლი 5. ცენტრის ფინანსები

ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსება ერთი წლის განმავლობაში;

ბ) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

გ) მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისთვის განკუთვნილი შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავლები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

მუხლი 6. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.